რეკომენდაციების პაკეტი მარნეულის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტისთვის და ბიუჯეტისთვის

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC) ადამიანის უფლებებსა და სოციალური სამართლიანობის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციაა, რომელიც მათ შორის, სისტემურად მუშაობს ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციისა და უფლებების დაცვის საკითხებზე. კვლევის, ადვოკატირების, სტრატეგიული სამართალწარმოებისა და თემის პოლიტიკურ გაძლიერებაზე ორიენტირებული ინსტრუმენტების გამოყენებით ის ცდილობს პოლიტიკურ დღის წესრიგში აქტიურად დააყენოს ეთნიკური უმცირესობების ექსკლუზიის საკითხები და ხელი შეუწყოს არადომინანტური ჯგუფებისთვის სამართლიანი პოლიტიკური და სოციალური გარემოს შექმნას. EMC-ის მუდმივი წარმომადგენელი ყავს მარნეულში და რეგულარულად აწარმოებს საველე გასვლებს სოფლებში ადგილობრივი საჭიროებების იდენტიფიცირების და სხვადასხვა გზებით მათი გადაჭრის მიზნით.

წინამდებარე დოკუმენტით EMC, ხულდარას, ქვემო სარალის, აღმამედლოსა და კასუმლოს სოფლების სათემო ცენტრებთან ერთად, წარმოადგენს იმ პრიორიტეტულ საკითხებსა და გამოწვევებს, რომელიც ჩვენი შეფასებით, ყველაზე მწვავედ დგას მარნეულის მუნიციპალიტეტში და არსებითია ადგილობრივმა თვითმმართველობამ მას სათანადო ყურადღება დაუთმოს და მათ შორის, ასახოს მომავალი წლის ადგილობრივ ბიუჯეტში.

შესავალი

ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვის პოლიტიკა და სამართალი ორ ძირითად ღერძს ეფუძნება: ეთნიკური უმცირესობების იდენტობის და თვითმყოფადობის დაცვა (1) და მათთვის თანასწორი გარემოს შექმნა (2). ამ კუთხით თანასწორობის ქვეშ იგულისხმება არა მხოლოდ კანონის წინაშე ფორმალური თანასწორობა, არამედ **ფაქტობრივი/არსებითი** თანასწორობის უზრუნველყოფა, რომელიც სახელმწიფოს სპეციალური პოზიტიური ვალდებულებების განხორციელებას ავალდებულებს. ეს ვალდებულებები კი მოიცავს 1. დისკრიმინაციის იდენტიფიციკაციას; 2. დისკრიმინაციის მიზეზების მყისიერ აღმოფხვრას; 3. წარსულში განცდილი დისკრიმინაციის ნეგატიური ეფექტების აღმოფხვრას; 4. მომავალი დისკრიმინაციის პრევენციის. არსებითი თანასწორობის უზრუნველყოფის ვალდებულება სახელწიფოს ავალდებულებს გააჩნდეს სპეციალური სტრატეგია, რომელიც ეთნიკური უმცირესობების სუსტ რეპრეზენტაციას და ძალაუფლების და რესურსების უთანასწორობი განაწილებს აღმოფხვრის. სახელმწიფო ამ კუთხით ვალდებულია მიიღოს პოზიტიური ზომები, რათა გაუმკლავდეს წარსულში განცდილ ან მიმდინარე დისკრიმინაციას, ასევე კონკრეტული ჯგუფის მიმართ სახელმწიფოს მიერ ისტორიულად გამოვლენილი გულგრილობის და უგულებელყოფის მძიმე შედეგებს, ან/და მიიღოს სპეციალური ზომები აშკარად არაპრივილეგირებულ და დაქვდემდებარებულ მდგომარეობაში მყოფ სოციალურ ჯგუფთან მიმართებით.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, არსებითია ეთნიკურ უმცირესობების დაცვაზე ორიენტირებულმა პოლიტიკამ გაითვალისწინოს უმცირესობების ჯგუფებში სოციალური სიკეთეების, სერვისების განაწილებისა და დამატებითი მხარდამჭერი პოლიტიკების გატარების აუცილებლობა, როგორც უფრო სამართლიანი და თანასწორობი გარემოს შექმნის საშუალება.

პრიორიტეტული პრობლემები და საჭიროებები

ქვემოთ წარმოდგენილი გამოწვევები EMC მიერ მარნეულის მუნიციპალიეტის 20-მდე სოფელში საველე სამუშაოების შედეგად არის იდენტიფიცირებული და მათში მაქსიმალურად არის გათვალისწინებული და ასახული ადგილობრივების საჭიროებები, წუხილები და ინტერესები.

1. **ენის პოლიტიკა**

არსებითია მარნეულის მუნიციპალიტეტმა ადგილობრივ პოლიტიკაში მოსახლეობის პოლიტიკური და სამოქალაქო მონაწილეობის წახალისების მიზნით შეცვალოს არსებული ენის პოლიტიკა და ეთნიკური **უმცირესობებისთვის მათ ენაზე თარგმანის რესურსები შექმნას.** მათ შორის, ეს მხარდაჭერა გულისხმობს ქართული ენის არ მცოდნე მოქალაქეებისთვის მათი განცხადებების, საჩივრებისა და სხვა დოკუმენტების, ასევე მათზე თვითმმართველობის ოფიციალური პასუხის ამსახველი საჯარო ინფორმაციის თარგმნას აზერბაიჯანულ ენაზე. [1]

ამასთან არსებითია, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის **ოფიციალური ვებ-გვერდი (ასევე ოფიციალური გვერდები სოციალურ ქსელებში) გახდეს ორენოვანი** და ადგილობრივებს ყველა მნიშვნელოვანი პოლიტიკის დოკუმენტი, საკანონმდებლო აქტი და სიახლეები მიეწოდოს აზერბაიჯანულ ენაზე;

მუნიციპალიტეტის დონეზე შეიქმნას **მოქალაქეების მხარდამჭერი მიმღები/საინფორმაციო ცენტრი,** რომელიც ადგილობრივ მოსახლეობას აქტიურად (პროაქტიული საინფორმაციო საშუალებები) გაუზიარებს ინფორმაციას თვითმმართველობის და სხვა რელევანტური (განსაკუთრებით სოციალურ პეოლიტიკაზე მომუშავე) უწყებების საქმიანობის, მათი სოციალური და სხვა ტიპის პროგრამების შესახებ, ასევე დაეხმარება მოქალაქეებს მათი ინტრესის მიხედვით შესაბამის სახელმწიფო უწყებებში გადამისამართებაში.

2. **ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე ეთნიკური უმცირესობების დაცვის პოლიტიკის გაძლიერება**

არსებითია ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში შეიქმნას დამატებითი პოლიტიკები და მექანიზმები, რომელიც მუნიციპალიტეტში მცხოვრები უმცირესობების იდენტობის დაცვასა და მათთვის უფრო სამართლიანი პოლიტიკური და სოციალური გარემოს შექმნას შეუწყობს ხელს. ამ კუთხით მნიშვნელოვანი იქნება **მუნიციპალიტეტის დონეზე ინტეგრაციისა და თანასწორობის სტრატეგიის, სამოქმედო გეგმის შემუშავება და ამოქმედება.** არსებითია ამ პროცესში აქტიურად იყვნენ

[1] „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“ ევროპული ჩარჩო კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, იმ ადმინისტრაციულ ერთეულში, სადაც ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები ცხოვრობენ ტრადიციულად ან დიდი რაოდენობით, სახელმწიფო ორგანოებმა უნდა მაქსიმალურად უზრუნველყონ უმცირესობის ენის გამოყენება ადმინისტრაციულ ორგანოსა და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ პირს შორის. საქართველოს ორგანული კანონი „სახელმწიფო ენის შესახებ“ ადგენს, რომიმ მუნიციპალიტეტში, სადაც ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები კომპაქტურად ცხოვრობენ, სახელმწიფო უზრუნველყოფს ეთნიკური უმცირესობისთვის მიკუთვნებული პირის სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, ეთნიკური უმცირესობის ენაზე თარჯიმნის დახმარებით ურთიერთობას (მუხლი 9.3). ასევე ამავე კანონის მე-11 და 12 მუხლები ავალდებულებს სახელმწიფოს ეთნიკური უმცირესობის ენაზე წარდგენილი განცხადების, საჩივრის და მასზე გაცემული პასუხის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ მიღებული ნორმატიული აქტის უმცირესობის ენაზე თარგმნას.

ჩართულები ადამიანის უფლებებზე მომუშავე დამოუკიდებელი ორგანიზაციები, ადგილობრივი აქტივისტები და აკადემიის წარმომადგენლები.

ამასთან მნიშვნელოვანია, თვითმმართველობამ **გააძლიეროს ადგილობრივ სამოქალაქო ცხოვრებაში ახლაგაზრდების ჩართვა და მათ შორის, თვითმმართველობაში მათი დასაქმების ხელშეწყობა.** 1+4 პროგრამის მონაწილეების რესურსი საკმაოდ ღირებულია და მნიშვნელოვანია, მათ შორის, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარტის სტაჟირების სისტემის გამოყენებით, მოხდეს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ახალგაზრდების შერჩევა და დასაქმება თვითმმართველობის ორგნოებში.

არსებითია, თვითმმართველობაში დასაქმების პოლიტიკაში გათვალისწინებული იყოს ის ხარვეზები, რომელიც წლების განმავლობაში სახელმწიფოს განათლების პოლიტიკას გააჩნდა ეთნიკური უმცირესობების რეგიონებში, და უმცირესობების წარმომადგენლებისთვის დასაქმების სპეციალური (უფრო რბილი) მიდგომები შემუშავდეს, განსაკუთრებით ენის მოთხოვნასთან დაკავშირებით.

ამასთან არსებითია მერიამ/საკრებულომ იმუშავოს საკუთარი წევრების/თანამშრომლების ცოდნის გაძლიერებაზე ადამიანის უფლებების, მათ შორის, სპეციფიკურად უმცირესობების უფლებების საკითხებზე და ამ კუთხით შეიმუშავოს **ტრენინგების თანმიმდევრული და განახლებადი კურსი.**

აღსანიშნავია, რომ ჩვენი დაკვირვებით საჯარო რესურსების განაწილება მარნეულის მუნიციპალიტეტის ქართულ და აზერბაიჯანულ სოფლებში თანასწორი არ ჩანს და სოფლების საჭიროებებიც ამ სოფლებში მკვეთრად განსხვავებული და ასიმეტრიულია. ამ აღქმას ჩვენთან დისკუსიაში ადგილობრივი აქტივისტები ხშირად იმეორებენ. არსებითია, რომ ამგვარი აღქმა/განწყობა არ არსებობდეს უმცირესობების ჯგუფებში და თვითმმართველობამ კრიტიკულად გადახედოს მის პოლიტიკას ამ მიმართულებით. ცხადია, რომ ქართულ სოფლებში ენობრივი ბარიერის არ არსებობა ადგილობრივებს სახელმწიფო უწყებებთან უკეთესი კომუნიკაციის გამართვის და მოთხოვნების დაყენების უკეთეს შესაძლებლობებს აძლევს, თუმცა, ენის და მასთან დაკავშირებული კომუნიკაციის პრივილეგიის საკითხი სოფლების განვითარების პროცესში ასიმეტრიის საფუძველს არ შეიძლება ქმნიდეს. უმცირესობების მიმართ ისტორიულად შექმნილი უგულებელყოფის პოლიტიკა (სუსტი განათლება, ენის ბარიერი, დაბალი პოლიტიკური მონაწილეობა, პოლიტიკური ექსკლუზიის გამო უფრო მაღალი სოციალური მოწყვლადობა და ა.შ.) ხშირად მათი უთანასწორობის მიზეზი იხდება და არსებითია ამ დაქვემდებარების/არაპრივილეგირებულობის სათანადო კვლევა, აღიარება და მისი გადაჭრის გზების ძიება.

3. უმცირესობების კულტურული თვითმყოფადობის დაცვა

მარნეულის კულტურის სახლის საქმიანობის ანგარიშების აჩვენებს, რომ მისი რესურსი უმცირესობების კულტურული თვითმყოფადობის დაცვის, ასევე ინტერრელიგიური და ინტერეთნიკური დიალოგის, კულტურული მრავალფეროვნების მხარდაჭერის მიმართულებით არაპროპორციულად იხარჯება და არსებითია პოლიტიკის ცვლილება. მნიშვნელოვანია თვითმმართველობამ ხელი შეუწყოს ადგილობრივი კულტურის, მათ შორის, ბორჩალოს ხალიჩების, მუსიკის, ცეკვის, რეწვის, ისტორიული ძეგლების დაცვასა, შენარჩუნებას და ამ მიზნით აქტიური თანამშრომლობა ჰქონდეს შესაბამის სამინისტროებთან.

ამასთან არსებითია ადგილობრივი კულტურის პოლიტიკაში გაძლიერდეს ინტერკულტურული დიალოგის მიდგომა და ფორმატები.

მნიშვნელოვანია ადგილობრივი კულტურის პოლიტიკა ამ კუთხით ადგილობრივების წუხილების და კრიტიკის გათვალისწინებით განახლდეს და უფრო ინკლუზიური გახდეს. ამასთან მნიშვნელოვანი კულტურის სახლის თანამშრომლებში ეთნიკური ბალანსი სათანადოდ იყოს დაცული და უმცირესობების დღესასწაულების აღნიშვნის დროს მათი ავთენტური შინაარსი, ფორმა და სიმბოლურობა იყოს დაცული.

სხვადასხვა ერთჯერადი და ფრაგმენტული კულტურული ღონისძიებების ნაცვლად, მნიშვნელოვანია, ადგილობრივი თვითმმართველობა ეროვნული და ტრადიციული კულტურის მდგრად მხარდაჭერას ეწეოდეს და მათ შორის, სოფლად კულტურული სივრცეების შემნას უწყობდეს ხელს.

ზოგიერთ სოფელში პრობლემურად დგას საკულტო ნაგებობების მშენებლობის საკითხი და ადგილობრივები უთითებენ, მეჩეთის მშენებლობისთვის გაუმართლებელი დაბრკოლებების შექმნის პრობლემაზე. სოფელ კასუმლოში, მეჩეთი მხოლოდ ნახევრადაა აშენებული, ხოლო მშენებლობა მიტოვებულია. იგივე მდგომარეობაა სოფელ თაზაქენდში, სადაც კერძო პირმა დაიწყო მეჩეთის მშენებლობა, თუმცა დასრულება ვეღარ შეძლო, ნებართვის არ ქონის გამო.

არსებითია ადგილობრივი თვითმმართველობის პოლიტიკა და ბიუჯეტი რელიგიურად ნეიტრალური იყოს და არ მოხდეს ბიუჯეტის რესურსის გამოყენება კონფესიური მიზნებისთვის.

მნიშვნელოვანია ადგილობრივმა თვითმმართველობამ მოაწესრიგოს აზერბაიჯანულ სოფლებში ჯვრის აღმართვის პრაქტიკები, რაც კულტურული დომინაციის უხეში ფორმაა და აზიანებს ინტეგრაციის პოლიტიკას.

4. **უნდობლობის და ფრუსტრაციის დაძლევა**

ჩვენი დაკვირვებით, ადგილიბრივ თემში, განსაკუთრებით საქართველოს აზერბაიჯანულ თემში პოლიტიკური ცვლილებების და სისტემების მიმართ ნდობა დაბალია და უიმედობის და ფრუსტრაციის პრობლემას ვაწყდებით. აღნიშნულის მიზეზი უმცირესობების სუსტ პოლიტიკურ რეპრეზენტაციაში და მონაწილეობაში შეიძლება ვეძებოთ. თვითმმართველობა პოლიტიკური მონაწილეობის ყველაზე ქვედა და აქტიური დონეა და არსებითია ადგილობრივმა ხელისუფლებამ გააძლიეროს პოლიტიკური მონაწილეობის მხარდამჭერი მიდგომები. მათ შორის,1. სოფლის რწმუნებულების ცოდნის და პრაქტიკული შესაძლებლობების გაძლიერება და მათი დამოუკიდებლობის პირობების შექმნა; 2. სოფლის საბჭოების დემოკრატიული ორგანიზების რეალური პლატფორმების შექმნა და კომუნიკაცია; 3. **ადგილობრივი /სოფლის სათემო ცენტრების ინიციატივების მხარდაჭერა და თვითორგანიზების და პრობლემების გადაჭრის პოზიტიური პრაქტიკების შექმნა და პოპულარიზაცია;** 4. **მერთან ახალგაზრდების საკონსულტაციო საბჭოს/პლატფორმის შექმნა,** რომელიც დამოუკიდებელი, პარტიულად ნეიტრალური და მაღალი საზოგადოებრივი ნდობის მქონე ახალგაზრდა აქტივისტებისგან დაკომპლექტდება.

ასევე მნიშვნელოვანია მერიამ/საკრებულომ მოაწესრიგოს და გააძლიეროს საჯარო ინფორმაციის გაცემის პროცედურა და უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის კანონით დადგენილ ვადებში გაცემა და მოქალაქეების მხარდაჭერაზე ორიენტირებული კომუნიკაცია.

5. **ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა**

მარნეულის მუნიციპალიტეტში კვლავ მნიშნელოვან გამოწვევად რჩება ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის საკითხი. არსებითია, სოფლებთან კონსულტაციების დროს (სოფლის საბჭოს თუ სხვა

საჯარო შეხვედრების დროს) ადგილობრივმა ხელისუფლებამ გააძლიეროს ქალებთან მუშაობის მიმართულება და ამ მიზნით ინსტიტუციური რეფორმებიც გაატაროს, მათ შორის, შექმნას მერის ადმინისტრაციაში და მის უშუალოდ დაქვემდებარებაში გენდერულ თანასწორობაზე პასუხისმგებელი მაღალი რანგის და პასუხისმგებლობის მქონე თანამდებობის პირის სტატუსი და მოახდინოს გენდერული საბჭოს შემადგებლობის გაფართოება, აქტიური და დამოუკიდებელი ქალი აქტივისტების შეყვანა და საბჭოს მუშაობის და მისი ფინანსური მხარდაჭერის გააქტიურება.

6. ბაღების მხარდაჭერა და განვითარება

წინასასკოლო განათლებას არსებითი მნიშვნელობა აქვს ბავშვების სოციალიზაციისთვის, ქართული ენის სწავლების მხარდაჭერისთვის და ზრუნვის პროცესში ქალთა ტვირთის შემსუბუქებისთვის. მარნეულის მუნიციპალიტეტში ბაღების რაოდენობა მკვეთრად დაბალია, რაც სახელმწიფოს მხრიდან დროულ ჩარევას გულისხმობს. ამ მიზნით არსებითია მარნეულის თვითმმართველობას გააჩნდეს წინასასკოლო განვითარების ხედვა და შეიმუშავოს ამ საჭიროების დაკმაყოფილების **თანმიმდევრული, რეალისტური და ეფექტიანი გეგმა.** მნიშვნელოვანია ყოველი წლის ბიუჯეტში ბაღების მშენებლობის და განვითარების მხარდამჭერი პროგრამები პრიორიტეტულად იყოს განსაზღვული. წინასასკოლო განათლების პოლიტიკა თვითმმართველობის მიერ სისტემურად უნდა იყოს გააზრებული და მოიცავდეს არა მხოლოდ ინფრასტუქტურას, არამედ გარემოს უსაფრთხოებას, სათანადო სწავლებას, კულტურული მრავალფეროვნების მართვას, ბილინგვური განათლების დამკვირდებას (ბაღებში თანადროულად აზერბაიჯანული და ქართული ენის მცოდნე პედაგოგების ჩართვა) და უფლებების დაცვას.

7. საზოგადოებრივი ტრანსპორტი

მარნეულის მუნიციპალიტეტში მოქმედი საზოგადოებრივი ტრანსპორტის მდგომარეობა, მოძრაობის გრაფიკი სოფლად მცხოვრები ადამიანებისთვის განსაკუთრებული გამოწვევაა და მათ ყოველდღიურ ცხოვრებას აფერხებს. საზოგადოებრივი ტრანსპორტი სოფლების დიდ ნაწილში მხოლოდ ერთ რეისს ასრულებს, და ნაწილში საერთოდ არ დადის, რაც ადგილობრივებს ეკონომიკურ, ასევე საჯარო და კულტურულ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის შესაძლებლობას არ აძლევს. მაშინ როცა, კონკრეტულ სოფლებისთვის, სადაც მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა წარმოადგენს დომინანტურ ეთნიკურ ჯგუფს, არსებობს პირდაპირი და რეგულარული რეისები არა მხოლოდ მარნეულის მიმართულებით, არამედ თბილისის მიმართულებითაც, რჩება შთაბეჭდილება, რომ თვითმმართველი ორგანოები უმცირესობების ჩართულობის და ინტეგრაციის ამ ასპექტს შესაფერის ყურადღებას არ უთმობს. იმ პირობებში, როდესაც სოფლად ადამიანებს სახელმწიფო არ სთავაზობს სათანადო საგანმანათლებლო, კულტურულ და სოციალურ სერვისებს, საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაუმართავობა მათ იზოლაციას და გარიყულობას აღრმავებს.

არსებითია თვითმმართველობამ შეიმუშავოს საჯარო ტრანსპორტის პოლიტიკა და რეალისტური სამოქმედო გეგმა და არსებული პრობლემის გადაწყვეტისთვის თანმიმდევრული ნაბიჯები გადადგას. მნიშვნელოვანია ყოველი წლის ბიუჯეტში საჯარო ტრანსპორტის განვითარების მხარდამჭერი პროგრამა პრიორიტეტულად იყოს განსაზღვული.

8. წყლის პრობლემა

სოფლებში სერიოზულ გამოწვევად დგას საირიგაციო და სასმელი წყლის პრობლემა, რაც ადგილობრივებს მძიმე შრომით და სოციალურ ტვირთად აწვება. ზოგ სოფლებში, სადაც ერთი

შეხედვით მოგვარებულია სასმელი წყლის პრობლემა და ოჯახებში გაყვანილია სასმელი წყლის მილები, მოსახლეობა აღნიშნულ წყალს არ იყენებს სასმელად, რადგანაც მათი აზრით, აღნიშნული წყალი დასალევად არ არის ვარგისი. მნიშვნელოვანია, მუნიციპალიტეტმა მოახდინოს ხარისხის კონტროლი და საწიროების შემთხვევაში უზრუნველყოს აღნიშნული სერვისის გამოსწორება.

საირიგაციო სისტემების არ არსებობა ან გაუმართაობა ადგილობრივებს სოფლის მეურნეობის განვითარების შესაძლებლობას არ აძლევს, რაც ამ რეგიონში მეურნეობის და გადარჩენის ძირითადი წყაროა. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ სოფელში საირიგაციო სისტემების სათაავეებს აკონტროლებს კონკრეტული პირები. მაგალითად, სოფელ ქვემო სარალოში, მოსახლეობა ამტკიცებდა, რომ მათ მიერ მიწების ირიგაცია დამოკიდებულია კონკრეტულად ერთ პიროვნებაზე, რომელიც ფაქტიურად აკონტროლებს საირიგაციო წყლის დინებას. მნიშვნელოვანია, მუნიციპალიტეტმა ზედამხედველობა გაუწიოს ამ საკითხს და ასეთი ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში სათანადო რეაგირება მოახდინოს.

ამიტომ არსებითია თვითმმართველობამ შექმნას წყლის პოლიტიკის სამართლიანი და ეფექტიანი გეგმა და უზრუნველყოს სოფლებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის განვითარება. ყოველი წლის ბიუჯეტში მნიშნელოვანია წყლის ინფრასტრუქტურისთვის და ხარისხის კონტროლისთვის საჭრო ხარჯი პრიორიტეტულად განისაზღვროს.

9. **მიწის პრობლემა**

სოფლებში ვიზიტების დროს ადგილობრივების მიერ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად მიწის რესურსის უთანასწორო განაწილების საკითხი დასახელდა. 1990-იან წლებში ადგილობრივი სოფლების მიწის რესურსის დიდი ნაწილის გადაფორმება სხვადასხვა გავლენიანი ადგილობრივების მიერ მოხდა და სოფლის მაცხოვრებლებს მხოლოდ საკარმიდამო მიწა დარჩათ. დღეს ეს პირები ე.წ. არენდატორებად არიან ცნობილები და რამდენიმე წლის წინ უსამართლოდ გადაფორმებულ მიწებს ადგილობრივ გლეხებზე ძვირად აქირავებენ, ან მათ იაფფასიან მუშა ხელად იყენებენ საკუთარ ფერმებში. არსებითია, ადგილობრივმა თვითმმართველობამ **დაარეგულიროს მიწის პოლიტიკა** და ამ მიზნით 1. სოფლის საერთო მიწები (საძოვრები, სათიბი მიწები) დაიცვას კერძო პირების თვითნებური მითვისებისგან; 2. უზრუნველყოს თავის დროზე კერძო პირების მიერ მითვისებული მიწების გამოსყიდვა, ისე რომ გლეხებს მინიმალურ მიწის რესურსზე მაინც მიუწვდებოდეს ხელი და ის სოფელში სამართლიანად განაწილდეს. 3. გაატაროს საინფორმაციო პოლიტიკა და შესაბამისი ტექნიკური მხარდაჭერის პროგრამები ადგილობრივების მიერ საკუთარი სახლისა და საკარ-მიდამო მიწის (ასევე სხვა ქონების) რეგისტრაციის ხელშეწყობის მიზნით. ხშირად ენის ბარიერისა და ცოდნის პრობლემების გამო ადგილობრივი გლეხები ამას საკუთარი რესურსით ვერ ახერხებენ.

ამასთან არსებითია ადგილობრივმა თვითმმართველობამ ხელი შეუწყოს ადგილზე **კოოპერატივების ტრადიციის და პრაქტიკის** დამკვიდრებას და მხარდაჭერას.

10. **სოციალური პროგრამები ქალებისთვის, ბავშვებისთვის, ხანდაზმულებისთვის, შშმ პირებისთვის და ა.შ.**

არსებითია მარნეულის მუნიციპალიტეტმა უზრუნველყოს დაუცველი სოციალური ჯგუფებისთვის სოციალური მხარდაჭერის მდგრადი და ადგილობრივ საჭიროებებზე ორიენტირებული პროგრამების და სერვისების შექმნა.

ამ კუთხით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქალთა ოთახის დამატებითი გაძლიერება და ამ ცენტრში ქალებისთვის ყველა რელევანტური სოციალური, სამედიცინო, საგანმანათლებლო, ეკონომიკური **სერვისის შესახებ ინფორმაციური რესურსის/რეფერალის სისტემის შექმნა** ადგილობრივებისთვის გასაგებ და ხელმისაწვდომ ენაზე. ამ მიზნით მნიშვნელოვანია ქალთა ოთახებს გააჩნდეს საკმარისი რესურსი საინფორმაციო კამპანიებისთვის და მათი საქმიანობის და რელევანტური რესურსების შესახებ სოფლებში ინფორმაციის გავრცელებისთვის.

ქალთა ჯანმრთელობის და რეპროდუქციულრ საკითხებზე ცოდნის გაძლიერებისა და სერვისების ხელმისაწვდომობის მიზნით, მნიშვნელოვანი იქნება, **მოძრავი კლინიკების სერვისის ამუშავება,** სადაც ექიმებისა და სოციალური მუშაკის სერვისები ინტეგრირებული იქნება და ქალებს პირველად და პრევენციულ სამედიცინო მხარდაჭერას აღმოუჩენს.

ამასთან, განსაკუთრებით მნიშვნელოვანად მიგვაჩნია **სახელმწიფო სოციალური სერვისებისა და პროგრამების შესახებ ინფორმაციის თარგმნა ადგილობრივების ენაზე,** თვითმმართველობის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსება და მათი მიღების წესისა და პირობების შესახებ საინფორმაციო კამპანიების ჩატარება. მარნეულის სოფლებში ჩვენი მუშაობა და მობილური იურიდიული კლინიკების პრაქტიკა აჩვენებს, რომ ძალიან ხშირად ადგილობრივებს არ აქვთ ინფორმაცია სახელმწიფოს არსებული სოციალური სერვისების შესახებ და არც მიმართავენ მათ მისაღებად. ამ პირობებში ისედაც მწირი სახელმწიფოს სოციალური დაცვისა და კეთილდღეობის პროგრამები და სიკეთეები ეთნიკური უმცირესობებისთვის არახელმისაწვდომი გამოდის. არსებითია, დამატებითი ღონისძიებებით ამ პროგრამების პოპულარიზება თემში.

მნიშვნელოვანი იქნება, თუ ადგილობრივი ხელისუფლება აამუშავებს **სათემო სოციალური მუშაკების სისტემას,** რომელსაც ჯანდაცვის სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობით შექმნის და განავითარებას და სახელმწიფო სერვისებისა და პროგრამების შესახებ საზოგადოების ინფორმირების და სოციალური დაცვის შესაბამის ინსტიტუტებთან ადგილობრივების კომუნიკაციის არხებს გააჩენს. ეს ინსტიტუტი დაეხმარება სოციალური მომსახურების სააგენტოს თანამშრომლებს ადგილობრივებთან კომუნიკაციის გაძლიერებაში და ადგილობრივი საჭიროებების იდენტიფიცირებას და პასუხისმგებელ უწყებებთან მიტანას უკეთესად მოახდენს.

11. **სანიტარია**

თითქმის ყველა სოფელში დასახელდა ნაგვისა და ნარჩენების რეგულირების აუცილებლობის საკითხი. სოფლების დიდ ნაწილში არ დგას ურნები და სადაც დგას, არ ხდება მათი რეგულარული მეთვალყურეობა/დაცლა, რაც არსებითად აზიანებს ადგილობრივ გარემოს და საფრთხეს უქმნის ადგილობრივების ჯანმრთელობას.

რამდენიმე საგენგებო პრობლემა მარნეულის სოფლებში, რომელიც მყისიერ რეაგირებას საჭიროებს.

სოფელი ხულდარა	სოფელში მწვავედ დგას სოფლის შიდა გზების გაუმართაობის პრობლემაა. ასევე კრიტიკულია სარწყავი სისტემის გაუმართაობის საკითხი, რის გამოც ადგილობრივები მიწის დამუშავებას ვერ ახერხებენ.
სოფელი კიროვკა	სკოლა მხოლოდ ცხრა კლასის განათლების მიღების შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეებს, ამასთან შენობა ავარიულია.

სოფელი კასუმლო	ელექტროგაყვანილობის ბოძები ავარიულია და საფრთხის შემცველი. სოფელში არ არის განთავსებული ურნები საყოფაცხოვრებო ნარჩენების განთავსებისთვის.
სოფელი ენიქენდი	სოფლის სკოლა დახურულია ავარიული მდოგმარეობის გამო. სოფელში არსებობს სასმელი წყლის ვარგისიანობის პრობლემა.
სოფელი თაზაქენდი (სადახლოსთან მდებარე სოფელი)	სოფელს საერთოდ არ მიეწოდება სასმელი წყალი. სოფლის შიდა გზები მოსაწესრიგებელია.
სოფელი კირიხლო	სოფელს საერთოდ არ მიწოდება სასმელი წყალი. სოფელში მოსაწესრიგებელია შიდა გზები, რომლებიც უამინდობის დროს გადაადგილებას უზღუდავს სოფლის მაცხოვრებლებს.
სოფელი ხანჯი გაზლო	მდინარე ხრამის კალაპოტის მოწესრიგება, ვინაიდან მდინარის ყოველი ადიდება სოფლისთვის ზიანის მომტანია. სოფელში არ დგას ნაგვის ურნები რაც იწვევს მძიმე დაბინძურებას.
სოფელი მოლაოღლი	სოფელს არ მიეწოდება სარწყავი წყალი, მიუხედავად იმისა რომ წყლის გადასახადს ადგილობრივები იხდიან.

იმედს გამოვთქვამთ, რომ ზემოთ წარმოდგენილი რეკომენდაციები ადგილობრივ ხელისუფლებას დაეხმარება პრიორიტეტების განსაზღვრაში და ადგილობრივ საჭიროებებზე და უფლებების დაცვაზე დაფუძნებული პოლიტიკის წარმოებაში. EMC გამოხატავს მზადყოფნას ზემოთ წარმოდგენილი ხედვების და რეკომენდაციების მნიშვნელობის და რელევანტურობის დასაბუთებისთვის დამატებითი კომუნიკაცია ქონდეს დაინტერესებულ ფრაქციებთან და მერის ადმინისტრაციასთან.